

კ @ ვკ აზნია

გენდერულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კოალიცია

საერთაშორისო
საინფორმაციო-ანალიტიკური
ელექტრონული ჟურნალი
გამოცემის წელი – მესამე
2007, №8, აგვისტო

ნომრის თემა: მშობლობა და გენდერი

სარჩევი

საქართველო	როგორ უნდა გახდე და როგორ არ უნდა გახდე დედა
თურქმენეთი	საოჯახო საქმეების სამსხვერპლოზე ბავშვის სიცოცხლე დადეს
ესტონეთი	არასრული ოჯახები – ბორტს მიღმა გონივრული საოჯახო პოლიტიკის მიუხედავად
რუსეთი	დედები ბარიკადებზე ზოგჯერ მხოლოდ ასე შეიძლება დაიცვა ბავშვთა დახმარება
საქართველო	მშობლების სიყვარულის ორმაგი სტანდარტები
ყაზახეთი/დანია	განგაში როგორც მოჭარბებული გრძნობა
უზბეკეთი	არ გავჩერდეთ მიღწეულზე! მრავალშვილიანი მაგისტრი აუცილებლად გახდება მრავალშვილიანი დოქტორი

მშობლობა

და

გენდერი



დედის კულტი მამის კულტურაში

რედაქტორისაგან

რა გენდერულ პრობლემებზე ლაპარაკობთ? ჩვენთან ხომ დედის კულტიაო, ამბობენ.

მაშინ ვეკითხები:

რამდენს შეადგენს ჩვენთან დეკრეტული შვებულების დახმარება? - საშუალოდ 100 დოლარი ერთჯერადად.

რამდენია დანამატი მცირეწლოვან ბავშვებზე? - არაფერი.

რამდენად დიდია დედა-დიასახლისის პენსია? - 20 დოლარი.

სად არის აქ კულტი?! ეს ხომ ნამდვილი დამცირებაა და მასხრად აგდება - სახელმწიფო დონეზე.

მაშ, კარგი. იქნებ ეს კულტი საყოფაცხოვრებო დონეზე მაინც ბუდობს?

ახალგაზრდა სიმპათიური დედა ორი წლის ბავშვით სანაპიროზე დასასვენებლად მიემგზავრება. მარტო, ქმრის გარეშე. სამი დღის შემდეგ იქიდან გამოდის. იმიტომ, რომ თაყვანისმცემლები გასაქანს არ აძლევენ. თუმცა, საბაბი, თითქოს, არ მიუცია. ფანჯარაში

ძვრებოდნენ, სტვენით აცილებდნენ, მოურიდებელ წინადადებებს სთავაზობდნენ...

სამსახურში: მიმზიდველი ვაკანსია, ორი პრეტენდენტი - მამაკაცი და ქალი, რომელიც მარტო ზრდის ბავშვს. ვის მიიღებენ? ათიდან ცხრა შემთხვევაში - მამაკაცს. უფროსი იტყვის: მან ოჯახი უნდა არჩინოს. ქალმა არ უნდა არჩინოს?!

ნადიმი, სტუმრები. ქალი-დიასახლისი მომართულივით დარბის სამზარეულოდან სუფრისკენ და პირიქით. მამაკაცი თამადა დედებს ადღევრძელებს, როგორც ჩვენში იტყვიან, „ოჯახის დიასახლისის სახით“. ამისათვის მას სასწრაფოდ იძახებენ სამზარეულოდან და ისიც ხელში ტილოს წვალებით გონებადაფანტული უსმენს მორიგე სადღევრძელოს. მერე მადლობას იხდის და კვლავ სამზარეულოში გარბის. ყველა კმაყოფილია - რიტუალი შესრულდა.

და ეს არის სულ. ამ მუყაოს საყრდენზე დგას მითი დედის კულტის შესახებ. მითი ღარიბებისა და იმათთვის, ვინც ამაზე არ ფიქრობს. ისე, თუ ჩაუფიქრდებით - მაინც რა უნდა ქალის კულტს მამაკაცთა კულტურაში?

პოლინა მილორადოვიჩი
საქართველო

შეხვედით ფხიზელი თვალით

დედობა

როგორც

რისკი

ყველა ქალი როდი
აძლევს თავს
უფლებას გახდეს
დედა



ჩემი ახლობელი თამუნა 37 წლისაა. იგი არა თუ გათხოვილი, შემჩნეულიც კი არ ყოფილა არასოდეს „რაიმე ისეთში“. ანუ - ქალწულია. სამწუხაროდ, ამბობს თამუნა. მე ცნობისმოყვარეობა მძალავს:

- თამუნა, მაინც როგორ, ამიხსენი! როგორ შეიძლება ეს ასე იყოს შენს ასაკში? ცნობისმოყვარეობა მაინც არ გაქვს?

- ჩემს ასაკში? - ოდნავ შეცბუნდა თამუნა.

- ჩემი მეზობელი ჟუჟუნა სამოცდაათი წლის იყო, როცა გარდაიცვალა. ქალწულად წავიდა, მაგრამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მითხრა: არავითარ შემთხვევაში არ დარჩე შინაბერადო.

ჩვენი საუბარი სავსებით გულახდილია და თამუნა მიმხელს, რომ მარტო ცნობისმოყვარეობა არ აწუხებს. თუმცა, მთელი იმ სიყვარულის ფილოსოფიის, რომელიც თამუნას აქვს მხედველობაში, მოკაშკაშე აპოთეოზი - სწორედ დედობაა. სასურველი ჰიპოთეტიური სიყვარული - მისთვის მხოლოდ იმის პრელუდიაა, რომ ჯამში პატარა ადამიანი

შეეძინოს და მასზე იზრუნოს მთელი თავისი ტემპერამენტის სისავსით. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად იგი ყველაზე მეტად სწორედ ბავშვზე ოცნებობს. მაგრამ ყოველწლიურად ეს ოცნება სულ უფრო პრობლემატური ხდება - დრო ხომ გარბის!

მეორე მხრივ, იგი თამუნასთვისაც მუშაობს. ცხოვრება ხომ ერთ ადგილზე არ დგას. დღეს არავინ ჩაქოლავს დაუქორწინებელ დედას. მით უფრო - დედაქალაქში. მართალია, ცოტას წაიჭორავებენ. იმკითხავენ - ვინ არის მამა. ცოტას წაიაფსიტყვებენ - გათხოვებით ხომ მაინც ვერ გათხოვდაო. საბოლოო ჯამში კი თავს მაინც არ იგრძნობს დაცემულ ქალად. პირიქით, ბევრის თვალში პატივიც კი მოემატება - გამბედაობისა და დამოუკიდებლობისათვის. ზოგიერთს კი, ვისაც არც თუ ისე სახარბიელო ქმარი ჰყავს, შეშურდება კიდევაც შენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მაგრამ... მაინც რა აკავებს ჩემს თამუნას? 37 ხომ უკვე 27 არაა. ჩემი აზრით, მას უკვე

გამოკვეთილი ფსიქოზი უყალიბდება ამ თემაზე. ყოველ შემთხვევაში, ძალზე ბევრს საუბრობს ამის შესახებ. სხვადასხვა ვარიაციებში, მაგრამ ერთსა და იმავეზე. იმაზე, რომ ეს, პრინციპში, უკვე აღარ ისჯება (მორალურად). რომ აი გააჩენს და – არაფერიც არ მოუვა.

- დედაჩემმაც კი უთხრა ერთხელ თავის ამხანაგს, რომლის ქალიშვილმაც ბავშვი უქმროდ გააჩინა, ნეტავ ჩემი თამუნაც ასე იზამდესო.

- მე უკვე იმ ასაკში ვარ, რომ ჩემზე არავინ იტყვის, მეძავიაო. ყველა ხომ ხედავს, როგორც ვცხოვრობდი აქამდე. ყველა იმას იტყვის – ბავშვი უნდოდა ძალიანო.

ბავშვი ჯერ არ არის, თამუნა კი სულ მის ხსენებაშია - დედის, მეზობლების, თანამშრომლების თვალთ.

მე ზოგჯერ ეს საუბრები მალიზიანებს და თავს სიმკაცრის უფლებას ვაძლევ:

- ეჰ. სიმამაცე გაკლია. შენ შენთვისაც კი არ გყოფნის პასუხისმგებლობა. შენ დედას, მეზობლებს, საქართველოს რესპუბლიკას, კავკასიას ეკუთვნი, და არა საკუთარ თავს! და რაკი ასეა – არა ხარ ბავშვის ღირსი, დამშვიდდი. თამუნა იტანჯება ჩემი სიტყვებისაგან და ჩუმდება. მერე ამბობს:

– ავდგები და გავაჩენ. ყველა მიხვდება, რომ მე უბრალოდ ამოვწურე ჩემი შანსები გამეკეთებინა ეს ისე, როგორც საჭიროა.



...მე ჯერ კიდევ შენი შანსი ვარ, დედა. გადაწყვიტე!
ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

სხვათა შორის

„40-ს გადაშორებული დედებით“ იტალია ლიდერობს

ევროპის ქვეყნებში ქალები სულ უფრო ხშირად გადასდებენ ხოლმე შვილის გაჩენას მერმისისათვის. ისინი საკუთარ კარიერაზე ზრუნავენ და მხოლოდ მაშინ ახსენდებათ დედობა, როცა 40-ს

მიუკაკუნებენ და როცა უკვე ორგანიზმში ამის შესაძლებლობა იკლებს.

მაგალითისათვის, დიდ ბრიტანეთში მუდმივად იზრდება გვიანი ორსულობის წილი (მშობიარობის რაოდენობამ 35 წლის და მეტ ასაკში უკვე 7% შეადგინა), ამასთან, ბრიტანელი მშობიარეების საშუალო ასაკი 30 წელს (29,4 წ) უახლოვდება, იმ

ქალთა საშუალო ასაკი კი, ვინც პირველად დაორსულდა - 27,4 წელია. მშობიარეთა საშუალო ასაკი ესპანეთში კიდევ უფრო მეტია - 32 წელი.

როგორც იტალიის ბოკონის უნივერსიტეტის კვლევებმა ცხადყო, იტალია „ყველაზე ასაკოვანმშობიარე“ ქვეყანა აღმოჩნდა ევროპაში. იქ ყველაზე მეტია ქალი, რომ-

ლებიც 40 წლის ზევით ორსულდებიან. ექიმებს ძალიან აწუხებთ მსგავსი ფაქტები - რაც არ უნდა იყოს, 40 წელი საკმაოდ კრიტიკული ასაკია პირველი

მშობიარობისათვის. 40 წელს გადაცილებულ ორსულთაგან მხოლოდ 57 აჩენს ბავშვს უპრობლემოდ, შვიდს სინჯარის ბავშვი ჰყავს. და მაინც, 36 ქალი ამ 100-

დან დედა ვერ ხდება. ყველაფერი ეს ხდება განაყოფიერების ასაკობრივი ზღვრის დაწვევის ფონზე. და მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მხოლოდ 1%-ს ეწყება მენოპაუზა 40 წლის ასაკში,

ქალის რეპროდუქციული ფუნქციის შესამჩნევი დაქვეითება უკვე 27-29 წელზე მოდის.

მხოლოდ 57 აჩენს ბავშვს უპრობლემოდ, შვიდს სინჯარის ბავშვი ჰყავს. და მაინც, 36 ქალი ამ 100-

დან დედა ვერ ხდება. ყველაფერი ეს ხდება განაყოფიერების ასაკობრივი ზღვრის დაწვევის ფონზე. და მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მხოლოდ 1%-ს ეწყება მენოპაუზა 40 წლის ასაკში,

ქალის რეპროდუქციული ფუნქციის შესამჩნევი დაქვეითება უკვე 27-29 წელზე მოდის.

მხოლოდ 57 აჩენს ბავშვს უპრობლემოდ, შვიდს სინჯარის ბავშვი ჰყავს. და მაინც, 36 ქალი ამ 100-

დან დედა ვერ ხდება. ყველაფერი ეს ხდება განაყოფიერების ასაკობრივი ზღვრის დაწვევის ფონზე. და მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მხოლოდ 1%-ს ეწყება მენოპაუზა 40 წლის ასაკში,

ქალის რეპროდუქციული ფუნქციის შესამჩნევი დაქვეითება უკვე 27-29 წელზე მოდის.

წყარო - ინტერნეტ-რესურსები

ალტინ ახმედოვა
თურქმენეთი

ყველაფერი რომ დაბრუნდებოდეს

პატარა ხალიდა ვერასოდეს ეტყვის

მადლობას ბებიას

ბავშვური სახის მქონე ამ სასიამოვნო გარეგნობის ქალს ყურადღება ჯერ კიდევ აშხაბადის საჰაერო სააგენტოში მივაქციე. თეთრყრმისა, ღია ფერის თვალებით, თავსაფრის ქვეშ შემალული ხორბლისფერი თმებით თურქმენს სულ არ ჰგავდა, თუმცა ეროვნული ნაქარგით დამშვენებული თურქმენული კაბა ეცვა. ბილეთის რიგში ბევრი ხალხი იდგა, ადგილები კი თვითმფრინავზე ცოტა იყო. ამიტომ, როცა გამოაცხადეს, რომ ჩრდილოეთის მიმართულებით გაყიდვა დასრულდაო, ყველა დაიშალა. მხოლოდ ეს ქალი იდგა ჯერ კიდევ რაღაცის იმედით...

ერთი დღის შემდეგ რკინიგზის სადგურის ბაქანზე შევნიშნე, ჩემი მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე. ე.ი. მაინც ვერ იშოვა თვითმფრინავის ბილეთი და ჩემსავით მატარებლით ბრუნდება. მე და უცნობი არა მარტო ერთ ვაგონში, ერთ კუბეშიც კი აღმოვჩნდით. მალე გავიცანით და გამოვესაუბრეთ ერთმანეთს. ნაზირა მხოლოდ 23 წლის იყო, მაგრამ უკვე ორი შვილის დეობა მოესწრო. თურქმენული სისხლი მას სულ არ ჰქონია, დედით რუსი იყო, მამით კი ნახევრად უზბეკი, ნახევრად თათარი. აი, საიდანაა მისი სითეთრე და ღია ფერის თვალები.

მთელი დღე-ღამის უსაქმობამ მატარებელში სასაუბროდ განგვაწყო და მისი ისტორია შევიტყვე. ნაზირას დედა ვაჭრობდა, რაღაც-რაღაცები რუსეთიდან შემოჰქონდა, მაგრამ 90-იანი წლების შუაში უკვალოდ დაიკარგა. უფროსი და, მამას რომ დახმარებოდა და-ძმების ფეხზე დაყენებაში და მოხუცი ბებია-ბაბუის შენახვაში, მსუბუქი ყოფაქცევის ქალის გზას დაადგა. იმავე ბებია, როგორც კი 18 წლის ნაზირას მთხოვნელები გამოუჩნდნენ, დაარწმუნა გოგონა გათხოვილიყო. მოხუცს მომაკვლინებელი არგუმენტი ჰქონდა: „შენი დის თავაშვებულობის ჩრდილი შენც მოგადგება და გაუთხოვარი დარჩები“... ნაზირა სწავლაზე, საინტერესო სამსახურის შოვნაზე ოცნებობდა, მაგრამ მოხუცების ზეწოლამ და მამის დამნაშავე-მასზე-წარმა მზერამ გაიმარჯვეს: იგი დათანხმდა. და მოხვდა ოჯახში, სადაც განუსაზღვრელად ბატონობდა დედამთილი. ამ ქალის ქმარი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა და მთელი მისი ძალაუფლება ოჯახში მცხოვრებ ვაჟებსა და რძლებზე გაერცვლა. ჯერ კიდევ ჭარმაგი, იგი არავის უშვებდა თავის ნებაზე, ასე რომ, ყველა ახალგაზრდა ოჯახში მისი მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. რძლები დიდიდან დალაშქვამდე შრომობდნენ. ყველაზე მეტი უმცროსებს ხვდებოდა. ქორწილის შემდეგ ეს როლი ნაზირას დაეკისრა. იგი დილის 5 საათზე დგებოდა და ქუჩისა და ეზოს დაგვას იწყებდა. მერე საუზმეს ამზადებდა, აპურებდა დიდ ოჯახს, ალაგებდა, ჭურჭელს რეცხავდა... ამდენი შრომისგან დღე დაუსრულებლად ეჩვენებოდა.

როცა ნაზირა მიხვდა, რომ ბავშვს ელოდა, დედამთილმა ახალი შუშაბანდის მშენებლობა წამოიწყო. ამისათვის ეზოში ძველი შენობის დანგრევა და ადგილის გათავისუფლება იყო საჭირო. ნაზირას ყველაზე მძიმე სამუშაო ერგო - დამტვერული ავურების გატანა ვედრებით და ცალკე გროვად მოქუჩება. ეს რამდენიმე თვე გაგრძელდა. მის ორსულობას ყურადღებას არავინ აქცევდა. მაშინ იგი დარწმუნდა, რომ ბუნებამ ძლიერი ქალის ჯანმრთელობით დააჯილდოვა, თორემ მის ადგილზე სხვას მუცელი კარგა ხნის წინ მოეშლებოდა.

მშვიდობიანად დაიბადა ვაჟი. ორი წლის შემდეგ - გოგონა. ახალშობილს ზურგზე, ბეჭის ქვეშ, ხალი ჰქონდა. გოგონას ხალიდა დაარქვეს, რაც დეის ნიშანდებულს ნიშნავს. ყველა ამბობდა, რომ ბავშვი ბედნიერი გაიზრდებოდა.

უბედურება ზამთარში მოვიდა, როცა პატარა წლინახევრის გახდა. საოჯახო საქმეებით მეტისმეტად დაკავებული ნაზირა ნაკლებ დროს უთმობდა ბავშვებს და გოგონას ავადმყოფობა გამოეპარა. ბავშვთან ჯდომის, მოვლის, სიცხის გაზომვის საშუალებას დედამთილი არ აძლევდა, სულ ახალ-ახალ საქმეებს უძებნიდა. რეცხვის თუ საქონლის დაპურების შემდეგ ნაზირა ქალიშვილთან გარბოდა. იგი ხშირად სიცხისგან გათანგული ბორცავდა, ღიღივით ოხრავდა, მშრალი, აპრიალებული თვალებით შესცქეროდა დედას...

მესამე დღეს ნემსების კეთება დაუწყეს. ამიდობირინი დიმიდროლთან ერთად. სიცხე იკლებდა და გოგონას ეძინა. ავად გახდომიდან მეხუთე დღეს მას უკვე მუდმივად ეძინა, თითქმის გაუღვიძებლად. 22 წლის დედას გულზე ცეცხლი ეღებოდა, გრძნობდა, რომ ბავშვს რაღაც ემართებოდა. დედამთილი ამშვიდებდა: რაკი ძინავს, ე.ი. მალე გამოჯანმრთელდება. და ახალ საქმეს აძლევდა. მეექვსე დღეს ნემსის გასაკეთებლად მოსულმა მეზობელმა განგაში ატეხა: გოგონას რაღაც უცნაური ემართებოდა, კრუნჩხვის მსგავსი. ნაზირამ „სასწრაფო“ გამოიძახა. ექიმები დიდხანს სინჯავდნენ ბავშვს. ის საათები დაუსრულებლად მოეჩვენა. ბოლოს განაჩენი გამოიტანეს: მენინგიტის მძიმე ფორმა, გადარჩენის შანსი - მინიმალური. თურმე, ბოლო ორი დღე-ღამე ბავშვს კი არ ეძინა, კომაში ყოფილა, ავადმყოფობა მიშვებული იყო და ერთი საათიც რომ დაეყოვნებინათ, ვერ გადაარჩენდნენ...

ორი თვე იბრძოდნენ რეანიმატოლოგები გოგონას გადასარჩენად. ნაზირა სულ მის გვერდით იყო. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, აქ თავისი სიტყვა აქამდე გაჩუმებულმა ქმარმაც თქვა. იგი ყოველდღე მოდიოდა საავადმყოფოში, მოჰქონდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო, მხარში ედგა ცოლს. ნაზირასთვის კი ყველაფერი სულერთი იყო, იგი

თავის თავს ადანაშაულებდა იმაში, რომ დედამთილს არ შეეწინააღმდეგა, სიმტკიცე ვერ გამოიჩინა და ავადმყოფობა მიუშვა. ექიმებმა ბავშვი სიკვდილს გამოსტაცეს, მაგრამ ყველაზე საშინელი წინ იყო: გოგონა დაბრმავდა და მოძრაობის უნარი დაკარგა. ხანგრძლივი და გულმოდგინე მკურნალობა, კარგი მოვლა ბავშვს დაჯდომისა და წამოდგომის საშუალებასაც მისცემს, მაგრამ მეტს ვერაფერს მიაღწევენ, მხედველობა პატარა ხალიდას არ დაუბრუნდება, ისევე, როგორც მეტყველების უნარი... მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. რაღაც უკეთესობა ბავშვის მდგომარეობაში შეიმჩნევა - გოგონა დედის ხმის გაგონებაზე იღიმება, პატარა ხელების აწევა და სათამაშოს დაკავება ისწავლა, დაიწყო თავისი ემოციების გამოხატვა დაუნაწევრებელი ბგერებით. სხვა ყველაფერი ძველებურადაა.

მე და ნაზირა გვიან ღამემდე ვლაპარაკობდით. კიდევ კარგი, კუბეში ჩვენს მეტი არავინ იყო. მე ბოლმითა და ამ ახალგაზრდა ქალის თანაგრძნობით ამეცხო გული: როგორ შეიძლო მას ისე შინებოდა დედამთილის, რომ ბავშვის დაკარგვის შიში გადაეწონა? თუმცა, გასაკვირიც არაფერია: თურქმენებსა და უზბეკებში რძალი ჯერ ქმრის მშობლებს, მერე თვითონ ქმარს უნდა დაემორჩილოს. ისინი - პირველ რიგში - და მხოლოდ შემდეგ ბავშვი. სტუმარიც კი ბავშვზე მნიშვნელოვანია.

ერთხელ იმის მოწმეც გავხდი, როგორ გავიდა ერთ-ერთ თურქმენულ სახლში სტუმრების მიღების დროს რძალი სამზარეულოში თავისი 4 თვის ბიჭისთვის ფაფის მოსამზადებლად, რომელიც ხელოვნურ კეებაზე იმყოფებოდა და მკაცრად განსაზღვრულ საათებში აჭმევდნენ. ამ დროს სამზარეულოში დედამთილი შევიდა და რძალს უბრძანა ღუმელიდან ქვაბი აეღო და დაგვიანებული სტუმრისთვის ჩაიდანა დაედგა. მორიდებულ თავის მართლებასზე, რომ ბავშვის ჭამის დრო მოვიდა, ხანდაზმულმა ქალმა მკაცრად უთხრა: „ჯერ სტუმარი, მერე ბავშვი! თუ საჭიროა, მეზობლებთან წადი და ფაფის ხარშვა იქ დაასრულე“. ასეთია წესი. რუსი დედის გაზრდილი ნაზირაც კი ვერ აღუდგა წინ ქმრის ოჯახს. „დროის უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდა - ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა“. ეს მწარე ფრაზა მან თითქმის გათენებისას წარმოთქვა, როცა ბოლოს და ბოლოს საუბარი დავასრულეთ. მერე მე მისი ზომიერი სუნთქვა მომესმა და მივხვდი, რომ გატანჯულ ქალს ძილმა ავლობა.



დედებისგან მოზრდილი ბავშვებიც კი ზრუნვასა და სამართლიანობას მოელოან. სამწუხაროდ, ზოგჯერ - სულ ტყუილად

ფოტო ალითინ ახმედოვასი

სხვათა შორის

ორგანიზაცია Save The Children-მა გამოაქვეყნა მორიგი ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია, რომელი ქვეყნები წავიდნენ წინ და რომელი ვერა დედისა და ბავშვის სიცოცხლის დაცვის საქმეში. სიის შედგენისას მკვლევარები ითვალისწინებდნენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ინვესტიციები ჯანდაცვაში და საკვებით უზრუნველყოფის დონე. ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში 10 მლნ-ზე მეტი 5 წლამდე ასაკის ბავშვი კვდება. მათი უმრავლესობა მესამე სამყაროს ქვეყნებში იღუპება. ერთ-ერთ ძირითად ყოველწლიურ კრებსით მაჩვენებელს წარმოადგენს Mother's Index, სადაც კარგად ჩანს, სად არის უკეთესი და სად - უარესი პირობები დედობისათვის. ანგარიშის მიხედვით, დედობისათვის საუკეთესო პირობები შეედოთმა. მეორე ადგილზეა - ისლანდია, მესამეზე - ნორვეგია. შემდეგ მოდის ახალი ზელანდია, ავსტრალია, დანია, ფინეთი, ბელგია, ესპანეთი და გერმანია. რუსეთი 36-ე ადგილზეა, უკრაინა - 37.

ყველაზე მძიმე პირობებში დედები იმყოფებიან ჩადში, იემენში, სიერა-ლეონესა და ნიგერიის რესპუბლიკაში (სიის ბოლოშია). მოხსენებაში ასევე მოყვანილია ბავშვთა სიკვდილიანობის სტატისტიკა. განვითარებულ ქვეყნებს შორის ამ მხრივ ყველაზე კარგი მდგომარეობაა ისლანდიაში, მას მოსდევს შვედეთი, სლოვენია, ნორვეგია და იაპონია. ყველაზე ცუდი მდგომარეობაა უკრაინაში, მაკედონიაში, რუსეთში, ალბანეთსა და რუმინეთში.

წყარო: Save The Children
<http://www.savethechildren.org/campaigns.state-of-the-worlds-mothers-report/2007/7mothers-index.html>

გაეროს გენერალურმა მდივანმა მამაკაცებს დედების ჯანმრთელობის დაცვის საქმეში პარტნიორობისაკენ მოუწოდა

11 ივლისს მოსახლეობის მსოფლიო დღე აღინიშნებოდა. წელს იგი ღოზუნგით „მამაკაცები - პარტნიორები დედების ჯანმრთელობის დაცვის საქმეში“ ჩატარდა. პან გი მუნმა ამ დღესთან დაკავშირებით თავის გზავნილში აღნიშნა, რომ ძალზე ბევრი ქალი იღუპება ორსულობის პერიოდში და მშობიარობისას იმის გამო. რომ ჩამორთმეული აქვთ მათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის უფლება. ადამიანის ვირუსული იმუნოდეფიციტის გავრცელების საგანგაშო მასშტაბები ქალთა შორის იმის ტრაგიკულ შესხენებას წარმოადგენს, რომ მსოფლიოს მრავალ კუთხეში ქალებს არ გააჩნიათ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის საშუალება. როცა ქალს საკუთარი ოჯახის დაგეგმვა შეუძლია, იგი საკუთარ სიცოცხლესაც გვემავს. როცა იგი ჯანმრთელია, უფრო პროდუქტიულია.. როცა მისი რეპროდუქციული უფლებები მოწონებული და დაცულია, მას სრულად შეუძლია საზოგადოების ცხოვრებაში ჩართვა სხვების თანაბრად.

ამასთან აზერბაიჯანში

ქვეყანამ მიზნად დაისახა - 5-ჯერ შეამციროს დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა. პერსპექტიული რეპროდუქციული სტრატეგია, რომელზედაც ახლა მიმდინარეობს მუშაობა, - ეს ახალი შვიდწლიანი გეგმაა. იგი რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, რომლებიც უზრუნველყოფენ შედარებით მაღალ უსაფრთხოებას დედებისა და ბავშვებისათვის. მასში ასევე ჩართული იქნება დედებიდან ბავშვებზე ინფექციის, მათ შორის ადამიანის ვირუსული იმუნოდეფიციტის გადაცემის საწინააღმდეგო ზომები. UNISF-ის ანგარიშის თანახმად, ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი აზერბაიჯანში 1 წლამდე ასაკის ბავშვებში შეადგენს 74 ბავშვს 1000-დან, რაც 10-ჯერ აღემატება იმავე საშუალო მაჩვენებელს ევროპაში.

georgia kyrgyzstan armenia uzbekistan russua azerbaijan estonia kazakhstan tajikistan georgia kyrgyzstan armenia uzbekistan russua azerbaijan estonia

რუტა პელსი
ესტონეთი
რა რა ღირს

ცხოვრება ლაგდება!

მაგრამ არა იმ ოჯახებში, სადაც დედა მარტო ზრდის შვილს



ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა

ესტონეთში ოჯახთა მეოთხედს ჰყავს ბავშვები.

ამ ოჯახთა უმეტესობას ერთი ან ორი ბავშვი ჰყავს, ბავშვთა საშუალო რაოდენობა ოჯახზე 1.5-ს შეადგენს.

დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს

ნამდვილი ბები-ბუმი შეიმჩნევა ესტონეთის მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში. ბავშვების მოსავლელად შვებულებაში თანამშრომლები ათობით და ასობით გადიან. ყველაზე მეტი ბავშვი წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეეძინათ - 38, ფინანსთა სამინისტროში - 29, იუსტიციის სამინისტროში - 27 ახალგაზრდა დედაა, გარემოს დაცვის სამინისტროში - 22, სოციალურ საკითხთა და სოფლის მეურნეობის - 20-20, ეკონომიკისა და კომუნიკაციების სამინისტროში - 14, თავდაცვის სამინისტროში - 12, შსს - 10, კულტურის სამინისტროში - 5. ეს გასაგებიცაა: ქალებმა ისარგებლეს სახელმწიფოს მიერ დაწესებული მშობლის ხელფასით, რომელიც პირდაპირ არის დამოკიდებული იმ შემოსავალზე, რაც ერთ-ერთ მშობელს (დედას ან მამას) ჰქონდა ბავშვის დაბადებამდე. ესტონეთისათვის, რომლის მოსახლეობა ყოველწლიურად ბერდება, დემოგრაფიული საკითხის გადაჭრა - უპირველესი საზრუნავია. სახელმწიფო

სხვადასხვა ზომებს ატარებს რიცხოვნობის გასაზრდელად. ერთ-ერთია - მშობლის ხელფასი. მისმა მინიმალურმა მოცულობამ წელს 2690 კრონი (172 ევრო) შეადგინა. შედარებისათვის: მომუშავეთა მინიმალური ხელფასი შეადგენს 3600 კრონს (230 ევრო). სტატისტიკით, მშობელთა მაქსიმალური ხელფასი დღეს 21 624 კრონს (1382 ევრო) უტოლდება. ყოველთვიური დახმარება ბავშვის მოვლისათვის იმ შემთხვევაში, თუ დედა ან მამა ბავშვის გაჩენამდე არ მუშაობდა, ეძლევა ერთ-ერთ მშობელს (ან ნათესავს) მანამ, სანამ ბავშვი 3 წლის გახდება. ახალშობილთა დახმარებას ადგილობრივი ხელისუფლება იხდის. ასე, მაგალითად, ტალინში 5000 კრონს (320 ევრო) უხდიან მშობლებს, თუ დედა ბავშვის დაბადებამდე დარეგისტრირებული იყო, როგორც ესტონეთის დედაქალაქის მცხოვრები, ან თუ ერთ-ერთი მშობელი ცხოვრობდა დედაქალაქში ბავშვის დაბადებამდე არანაკლებ 1 წლისა. გარდა ამისა, დედამ უნდა წარმოადგინოს

ექიმის ცნობა იმის შესახებ, რომ იგი აღრიცხვაზე აიყვანეს ორსულობის 12 კვირაზე ადრე და რომ იგი მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ბავშვი ამასთან უნდა დარეგისტრირდეს, როგორც ტალინის მცხოვრები და ცხოვრობდეს დახმარების მიმღების (დედის ან მამის) მისამართზე.

წელს 900-დან 1500 კრონამდე გაიზარდა იმ ბავშვების დახმარება, ვინც მზრუნველთან იზრდება. 750 კრონი ეძლევა იმ ბავშვებს, ვისი დედა ან მამაც სამხედრო სამსახურს იხდის.

2008 წლიდან გაიზარდა მშობლების დამატებითი დაუბეგრავი შემოსავალი. ეს ნიშნავს, რომ დედა ან მამა შეძლებს ცოტათი კიდევ გაზარდოს საოჯახო ბიუჯეტი.

პოლიტიკური კვლევების ცენტრ PRAXIS-ის მონაცემები ცხადყოფს, რომ საოჯახო დახმარებების, მშობლების ხელფასისა და დაუბეგრავი შემოსავლების გამოისობით სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ ბავშვთა რიცხვი თითქმის ერთი მესამედით, ანუ 20 000-ზე მეტი კაცით შემცირდა. ამას საკმაო სახსრები დასჭირდა. მარტო 2006 წელს ამ მაჩვენებლის დასაწევად ყოველ საპროცენტო პუნქტზე სახელმწიფომ 300 მლნ. კრონზე მეტი დახარჯა. ამასთან, მრავალშვილიანების საოჯახო დახმარებები უფრო ეფექტური აღმოჩნდა. დაბალეფექტიანად წარმოჩნდა მშობლების ხელფასი და დაუბეგრავი შემოსავალი მეორე ბავშვზე.

თუმცა სახელმწიფო დახმარების წილი ერთმშობლიან (უმეტესწილად ეს დედაა) ოჯახებზე ძალზე უმნიშვნელო დარჩა.



მარტო შენ შემიძლია მოგენლო სრულად, დედა
ვოლტო პოლინა მილორადოვიჩისა

სხვათა შორის

საქართველოში

ქალები კონსერვატიული პარტიიდან მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გაზრდას ითხოვენ

მრავალშვილიანი ოჯახთა უმრავლესობა დღეს საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, - განაცხადა პარტიის წარმომადგენელმა ქეთევან ენუქიძემ. კონსერვატორები ამბობენ, რომ ეს ქვეყნისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. პარტიის ქალთა ფრთა ითხოვს, რომ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება თვეში 150 ლარამდე (დაახლოებით 90 დოლარი) მაინც გაიზარდოს იმ ოჯახებისათვის, ვისაც სამი შვილი ჰყავს. გარდა ამისა, ქალი-კონსერვატორები აყენებენ წინადადებას, ყოველ მომდევნო ბავშვზე, მეოთხედან დაწყებული, დაირიცხოს კიდევ 100 ლარი. დღეს მრავალშვილიანი ოჯახები 35 ლარიან (20 დოლარამდე) დახმარებას იღებენ თვეში - ესეც იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში 7 და მეტი ბავშვია.

კონსერვატორების პროექტის განსახორციელებლად საჭირო იქნებოდა ბიუჯეტიდან დამატებით წელიწადში 37 მლნ. ლარის (23 მლნ. დოლარი) გამოყოფა. ოფიციალური მონაცემებით, დღეს საქართველოში 243 233 სამ და მეტშვილიანი ოჯახია.

(საკუთარი ინფორმაცია)

სხვათა შორის

რუსეთში

ვორონეჟელმა დედებმა ევროსასამართლოში გაიმარჯვეს

კიდევ ერთი პრეცედენტი

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა გადაუხადონ მორალური კომპენსაცია ბავშვთა დახმარების შეჩერებისათვის ვორონეჟელ დედებს თითოეულს 3 ათასი ევრო. ევროსასამართლომ შვიდი დადგენილება გამოაქვეყნა რუსეთის წინააღმდეგ შვიდი დედის სარჩელის საფუძველზე, რომლებსაც 1997-2000 წწ-ში არ უხდიდნენ ბავშვთა დახმარებას.

პირველად ქალებს არა მარტო მატერიალური ზარალის კომპენსაციას, არამედ მიყენებული მორალური ზიანისთვისაც გადაუხდინან.

2000 წლისათვის ვორონეჟში ბავშვთა შემწეობის (70 რუბლი თვეში) გადახდაში კატასტროფული სიტუაცია შეიქმნა. საოლქო ბიუჯეტს ამ მხრივ მრავალწლიანი დავალიანება დაუგროვდა. ყოველთვიური დახმარების უფლება 235 ათას ბავშვს ჰქონდა. ათასობით დედა ცდილობდა მიეღო დახმარება სასამართლოს მეშვეობით. განაჩენი მათთვის სასარგებლო გამოჰქონდათ, მაგრამ ბიუჯეტში ფული არ იყო. და მხოლოდ 2005 წელს დაიფარა დავალიანება.

მაგრამ ვორონეჟის 7 მცხოვრებმა გადაწყვიტა უფრო შორს წასულიყო და ევროსასამართლოს მიმართეს საჩივრით, რომ დახმარებები ღიდი დაგვიანებით და ინდექსაციის გარეშე მიიღეს. აქამდე ევროსასამართლოს უკვე ჰქონდა გამოტანილი დადგენილებები რუსი ბავშვებისათვის დახმარების გაცემის თაობაზე. ყველაზე პირველი 2005 წელს იყო ნოვოვორონეჟის მცხოვრების სვეტლანა პოზნარიხინას საჩივარი, რომელსაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით გადაუხადეს მატერიალური ზარალის კომპენსაცია - 6500 რუბლი. დანარჩენი დადგენილებები მსგავს საქმეებზე რუსეთიდან სასამართლოს უკვე პოზნარიხინას პრეცედენტზე დაყრდნობით გამოჰქონდა.

წყარო: პორტალი „ადამიანის უფლებები რუსეთში“
<http://www.hro.org/court/2007/02/07-1.php>
მიღებულია www.owl.ru

ნინო სუხიაშვილი
საქართველო

მამა, დედა და მე

ერთნაირად უყვართ, მაგრამ... ორმაგ სტანდარტებს იყენებენ

მერაბი და მანანა ტყუპები არიან. ისინი ერთ დღეს დაიბადნენ, ერთად იზრდებიან და ერთ კლასში სწავლობენ. სწავლაში რომ არ ჩამორჩნენ, მათ მშობლებმა განსაზღვრული „ხელფასიც“ დაუნიშნეს. თითოეული ხუთიანისთვის მერაბი ერთ ლარს იღებს, ოთხიანისთვის 50 თეთრს (ე.ი. ნახევარს), სამიანზე კი – არაფერს. მანანას „ანაზღაურება“ გაცილებით მცირეა: ხუთიანზე მას იმდენს „უხდიან“, რასაც მერაბს ოთხიანზე – ე.ი. 50 თეთრს, ოთხიანისთვის ის 25 თეთრს იღებს, სამიანისთვის კი, ისევე როგორც მერაბი, არაფერს. ტყუპების დედა, ქალბატონი ირმა უკვე დიდი ხანია ამჩნევს, რომ ბავშვები ერთნაირად არ მეცადინეობენ. ყველა წერით დავალებას მანანა ასრულებს, მათემატიკური ამოცანების ამოხსნაც მის კისერზეა. მერაბი უბრალოდ ამ ყველაფერს რვეულში გადაწერს ხოლმე. ასე, რომ მას თამაშისთვის მეტი დრო რჩება. ეს მშობლებმა იციან, მაგრამ მაინც მერაბის მაღალი შეფასებები „უფრო ძვირია“ ერთი მცირე მიზეზის გამო: ის ბიჭია. ბავშვთა სწავლაში წახალისების პრობლემა

რთული საკითხია, მაგრამ ირმასა და მისი ქმრის მეთოდიც რომ გამოვიყენოთ, ცხადია, ჩვენი ტყუპები ბიჭები რომ ყოფილიყვნენ, მშობლები მათ შრომას, სავარაუდოდ, თანაბრად შეაფასებდნენ.

ქეთი ქურდაძე (ფსიქოლოგი):
– ეს ტიპური შემთხვევაა. არ შეიძლება ითქვას, რომ მშობლებს ბიჭი უფრო უყვართ, ვიდრე გოგონა, საქმე ამაში არ არის. უბრალოდ, მშობლები გაუცნობიერებლად ხარკს უხდიან ტრადიციას, რომელიც ღალატებს, რომ მამაკაცი ქალზე მაღლა დგას. ყველგან და ყოველთვის! მშობლები მეტად ახალისებენ ვაჟს, მაგრამ როცა ის გაიზრდება, უკვე თვითონ უნდა იზრუნოს დასა და ოჯახზე. ამ დროს მას უკვე არავინ შეეკითხება, შეუძლია თუ არა ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით გააკეთოს. ასეთი აღზრდა მხოლოდ ქალებს არ უქმნის სირთულეებს. მამაკაცებისთვისაც არ არის იოლი. ტრადიციული კულტურა ქალისა და მამაკაცის როლს განსხვავებულად განიხილავს და შესაბამისად, მათ განსხვავებულ პასუხისმგებლობასაც აკისრებს. ტრადიციულად, ქალი მოიაზრება, როგორც დედა, ოჯახური კერის მფარველი, მაშინ, როცა მამაკაცი, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცია (მებრძოლი, სამშობლოს დამცველი და მისთვის) და მხოლოდ ამის შემდეგაა ოჯახის მამა.



რა თქმა უნდა, სამწუხაროა, დაიკო, მაგრამ - რას იზამ!

ფოტო უმიდა ანბელოვასი

ტყუების მშობლები ქალიშვილს ამზადებენ იმისთვის, რომ დღეა გახდეს, სამზარეულოსა და საბაზანოში იტრიალოს. ეს კი ნამდვილად არ არის ის ადგილები, სადაც გრამატიკისა და ნიუტონის კანონების ზედმიწევნითი ცოდნა აუცილებელია. ქალიშვილებისთვის განათლება ხშირად მზითვის თავისებურ ნაწილს შეადგენს, რაც მას წარმატებულად გათხოვებაში ეხმარება. (მაგალითად, ჩვენში დღემდე პოპულარულია ექიმი სარძლოები, რომელთა დიდი ნაწილი გათხოვების შემდეგ ღამის მორიგეობების მიზეზით სამსახურიდან მოდის). ვაჟს კი მშობლების თვალში სულ სხვა მომავალი აქვს. რა თქმა უნდა, ოჯახს ისიც შექმნის, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მშობლები თავის ოცნებებში მას ხედავენ მაღალ თანამდებობაზე, პარლამენტში, ან ცნობილ მეცნიერად წარმოიდგენენ. ამ შემთხვევაში განათლება მთავარი იარაღია მიზნის მისაღწევად. აი, რატომ ფასობს უფრო ძვირად მერაბის ფრიალები. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ისე არ ხდება ხოლმე, როგორც დავგეგმავთ. ჩვენ მოწმე ვართ, რომ მრავალი ქალი არჩენს ოჯახს და მათ შესანიშნავად გაართვეს თავი ამ სირთულეს. ზოგიერთი მამაკაციც წარმატებით უძღვება საოჯახო საქმეს, თუმცა ამაზე დუმილს არჩევენ. სირცხვილია(!) მათი მამაკაცური ღირსება ილახება! სამაგიეროდ, ოდნავადაც არ რცხვენიათ მათ, ვინც სამუშაოს დაკარგვის შემდეგ შევება ალკოჰოლსა და ნარკოტიკებში ჰპოვა.



გოგონა ვინდათ, თუ ბიჭი? ისე, უნდა გახსოვდეთ, რომ ულტრაბერითი გამოკვლევა - მაღაზია როდია ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

ფსიქოლოგის თქმით, ამ ადამიანებს ჯერ კიდევ ბავშვობიდან ასწავლიდნენ, რომ ისინი მამაკაცები არიან და მხოლოდ ამიტომ სამყაროს უნდა განაგებდნენ, და უცბად რაღაც სამზარეულო! შემდეგ კიდევ ამაზე საუბარი?! ეს მეტისმეტია! ამაში დარწმუნებულნი არიან არა მხოლოდ კაცები, არამედ მათი ცოლები, დედები, შვილები... ჩვენ ჩავატარეთ მცირე სატელეფონო გამოკითხვა ქალებს შორის (100 რესპონდენტი). აღმოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი არ ტვირთავს ვაჟებს (ვისაც ჰყავს, რასაკვირველია, ვაჟი) სარეცხით, სადილის მომზადებით და სახლის დალაგებით. სამაგიეროდ, ქალიშვილები ეხმარებიან ოჯახებს მოსავლის აღების დროს, მშენებლობებზე და სხვა ტრადიციულად წმინდა მამაკაცურ საქმიანობაში.

თუმცა, მიუხედავად ამისა, მშობლებს მაინც ვაჟების ყოლა ურჩევნიათ. ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ ექოსკოპიის კაბინეტში შევიხედავთ.

ნონა ნოზაძე (ექიმი-რადიოლოგი):
 - ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა ფეხმძიმობის ადრეულ სტადიაზე განვსაზღვროთ ნაყოფის სქესი. როგორც წესი, აბორტის რისკი არსებობს პირველი ფეხმძიმობის შემდეგ, განსაკუთრებით მაშინ, როცა პირველი შვილი გოგონაა და ნაყოფის სქესიც მდებარეობითაა. ჩვენი ქალაქი პატარაა, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. შესაძლოა, არაპროფესიულად ვიქცევი, მაგრამ როცა ზუსტად ვიცი, რომ მშობლებს გოგონა (ან ვაჟი) არ სურთ, ვეუბნები, რომ ჯერჯერობით სქესის დადგენა შეუძლებელია. ბევრი მაინც წყვეტს ორსულობას, მაგრამ რამდენიმე გოგონას ამქვეყნად მოვლინება ჩემი პირადი დამსახურებაა... თუმცა, ვერც ისინი და ვერც მათი მშობლები ამას ვერასოდეს გაიგებენ.

სხვათა შორის სომხეთში

ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, 100-დან 48 ქალი წყვეტს ორსულობას აბორტით, ამასთან 5% იმის გამო, რომ ქალიშვილი არ სურთ. მით უფრო, თუ ეს მდებარეობითი სქესის პირველი ბავშვი არ არის ოჯახში.

გამოკითხვის დროს მშობლებს „პროვოკაციულ“ კითხვას ვუსვამდით: ვინ უფრო უყვართ, ვაჟები თუ ქალიშვილები. აღმოჩნდა, რომ მშობლების სიყვარული გენდერული თვალსაზრისით არ ნაწილდება, თუმცა, ოჯახის მთელი მონაპოვარი, წინაპრების ქონება ვაჟებს ხვდებათ და არა ასულებს. სიყვარული სასწაულებს ახდენს.

ალმა ბექტურგანოვა-ანდერსენი
დანია/ყაზახეთი

ვაჟები-დედები

ვაჟის დედობაც არ არის იოლი



ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა

ყოველთვის მინდოდა ვაჟი მყოლოდა. მხოლოდ ვაჟი. მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამეჭვდა დედის სიტყვები:

- როგორ მეწყინა შენი დაბადება.
- რატომ? - ვეკითხებოდი მე. -შენ ხომ უკვე გყავდა ვაჟი.
- ქალობა უფრო ძნელია, - მპასუხობდა დედა. - მძიმეა ქალის ხვედრი. რაც არ უნდა მოხდეს ოჯახში, დამნაშავე მუდამ ქალია. და ყოველთვის მან უნდა გაიღოს მსხვერპლი. მისი წყენინებაც ყველას შეუძლია...

სწორედ ამიტომ ვოცნებობდი ვაჟზე, რომელიც ჩემი დამხმარე და დამცველი იქნებოდა. და აი, შემეძინა, უკვე მოზარდია. და უცებ ირკვევა, რომ მამაკაცები ქალებზე ნაკლებ როლი იჩაგრებიან გენდერული სტერეოტიპების და სპეციფიკური მამაკაცი პრობლემების გამო. მარტო ის რად ღირს, რომ სულ ძლიერად უნდა მოაჩვენო თავი და საკუთარი განცდები არ გაამჟღავნოს! მას სოვს, როგორ მეცოდებოდა ჩემი ბიჭი, როცა დაეცემოდა და ირგვლივ მყოფები მკაცრად ეუბნებოდნენ: შენ ხომ მამაკაცი ხარ, არ უნდა იტირო. და იგი ისეთი გაოგნებული შემომტყეროდა ხოლმე – ცრემლიანი თვალებით. შემდეგ - უფრო მეტი. მამაკაცი წარმატებული

უნდა იყოს, ფულიანი სამუშაო ჰქონდეს და გადაწყვეტილებაც თავად უნდა მიიღოს. ამას წინათ მე და ჩემი ვაჟი სამშობლოში, ყაზახეთში ვიყავით სტუმრად. რა შიში გადავიტანე! მოზარდთა დანაშაულობები ჩემი წასვლის შემდეგ სულაც არ შემცირებულა. ჩემი შვილი რომ მშობლიურ სკოლაში წასულიყო, მის ყოფილ თანაკლასელებს სახლში უნდა მოეკითხათ - მისი მარტო გამოჩენა მიკრორაიონში სახიფათო იყო. იქ ყველა უცხო აღრიცხულია... ჩემი მეგობარი - ისიც ვაჟის დედაა - ჩიოდა, რომ მთელი პრობლემა ბიჭისთვის მიკრორაიონიდან ქალაქის ცენტრში სკოლაში წასვლა. სახლში, თავის რაიონში დაბრუნება დადამებამდე უნდა მოასწროს. საკმარისია ოდნავ შეყოვნდეს მეცადინეობებზე ან სამკითხველოში, რომ დედა უნდა შეხვდეს უკვე მოზარდულ ვაჟს.

ამბობენ, ახლა დაუწერელი კანონი შემოვიდა: თუ ბიჭი გოგოსთან ერთადაა, ხელს არ ახლებენო. მაგრამ თუ მარტო აღმოჩნდება უცხო რაიონში - გახდიან, ცემენ, გაძარცვავენ... ახლა გოგონები აცილებენ ბიჭებს სახლში.

და მთავარი სატკივარი ბიჭების მშობლებისა - როგორ დაიფარონ ჯარში სამსახურისაგან. რა ხრიკებს არ მიმართავენ! ეს პრობლემა აქ, დანიაშიც კი აქტუალურია, თუ თქვენი შვილი წვევამდელის ასაკისაა და მაგალითისათვის, რუსეთის მოქალაქეა. ჩემი ნაცნობის ვაჟს გამზრდელი ბებიას დაკრძალვაზე წასვლის შეეშინდა მარტო იმიტომ, რომ წვევამდელთა მოძიების კამპანია დაიწყო, მას კი, მიუხედავად იმისა, რომ კოპენჰაგენის გიმნაზიაში სწავლობს, მოსკოვის ჩაწერა აქვს.

ახლა მე იმ ქვეყანაში ვცხოვრობ, სადაც სქესის პრობლემა ისე მწვავედ არ დგას, როგორც ჩემს სამშობლოში. მამაკაცისთვის სამარცხვინო როდია აიღოს შვებულება ბავშვის მოსაგვლეად, სამზარეულოში ქალის გვერდზე დადგეს, მაღაზიებში იაროს. და ფრაზებიც „შენ ხომ მამაკაცი ხარ...“ ან „შენ ხომ გოგო ხარ“ აქ არ მესმის. იქნებ ამიტომაც აქ ხალხი უფრო გულლია და მხიარული ჩანს.

გალია იბრაგიმოვა
უზბეკეთი

იშვიათად, მაგრამ ხდება

მზეთუნახავი, მაგისტრი და მრავალშვილიანი დედა

ფოტო ავტორისა



23 წლის ასაკში მან სამაგისტრო დისერტაცია დაიცვა და 4 ქალიშვილის დედა გახდა: მუნისას, ფატიმას, ზუნრისა და ზახროსი. დილნოზა კაიუმოვასთვის სამი ტყუპის შეძენა არა მარტო ბედის საჩუქარი აღმოჩნდა, არამედ გამძლეობის გამოცდაც. თუმცა, დილნოზა ამ სიტუაციაშიც არ კარგავს საკუთარ თავს - მტკიცედ გადაწყვიტა ასპირანტურაში ჩაბარება და უკვე აირჩია საკანდიდატო დისერტაციის თემა.

ორსულობისას 4 თვე დილნოზა საავადმყოფოში იწვა შენარჩუნებაზე, აქედან

თითქმის ერთი თვე - რეანიმაციაში. ახლობლები, ექიმები და ექთნები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ გოგონები ჯანმრთელები დაბადებულიყვნენ. თითოეული კილონახევრამდე იწონიდა, ამიტომ ახალგაზრდა დედა მშობიარობის შემდეგ მათთან ერთად კიდევ 3 თვე იწვა საავადმყოფოში.
- იმდენ ხანს ვიყავი იქ ტყუპების დაბადებამდე, რომ უფროსს თითქმის დაგავიწყდი...
ორი წლის მუნისა სერიოზული სახით მივიდა ფატიმას საწოლთან და რწვევა დაუწყო, თან რალაცას ღიღინებდა.
- ხედავთ, დებს აძინებს, იავნანას უძღერის, - დილნოზამ ხელში ზუნრა აიყვანა, რომელსაც უკვე მოთმინება გამოლეოდა იმის ლოდინში, როდის დაუთმობდნენ დები ადგილს დედასთან.
- სამაგისტრო დისერტაციის დაცვამდე ჩემი დღე ასე იყო განაწილებული - დღისით, სანამ

ახლობლები გვერდზე იყვნენ, ვწერდი დის-ერტაციას და გოგონებს ვკვებავდი, ღამ-ღამობით კი სულ საწოლებთან ვიდექი და ვაძინებდი. ეშმაკუნები არიან, თითქოს გრძნობდნენ, რომ დღისით დედა არ უნდა შეეწუხებინათ, ღამე კი სწორედ ის დროა, როცა მე მხოლოდ მათ ვეკუთვნი. მაგრამ ახლა სამაგისტრო დისერტაცია უკან დარჩა, წინ საკანდიდატოა. და მე მწამს, რომ მეცნიერებათა კანდიდატი გავხდები და ჩემი გოგონები ჩემით იამაყებენ.

ჯერ კიდევ უზბეკეთის მსოფლიო ენების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტმა, როცა დილნოზას ჯერ კიდევ არ ჰყავდა გოგონები, ქაიროს უნივერსიტეტში სწავლის საერთაშორისო გრანტი მოიგო. მთელი წელი სწავლობდა იქ, არაბული ენა ათივისა.

- არაბული კულტურა, ძველი ეგვიპტე ბავშვობიდან მიზიდავდა. სწავლა რთულიც იყო და საპატიოც, ამასთან, პასუხისმგებლობაც მედო - მე ხომ პირველი სტუდენტი ვიყავი უზბეკეთიდან, რომელიც ეგვიპტეში სწავლობდა. დილნოზა არაბული ენის ბრწყინვალე ცოდნით მარტო თანაკურსელებს როდი აოცებდა. მისი გულმოდგინებითა და მიზანსწრაფულობით აღტაცებულმა თვით ქაიროს უნივერსიტეტის რექტორმა შესთავაზა დილნოზას ქაიროში სწავლის გაგრძელება.

უზბეკეთში დაბრუნების შემდეგ დილნოზა გათხოვდა. მერე მუნისა დაიბადა. მაგრამ დილნოზას სწავლისათვის თავი არ დაუხეობია. მან მსოფლიო ეკონომიკისა და დიპლომატიის უნივერსიტეტში ჩააბარა.

- მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების დროს მეცხრე თვეში ვიყავი, მაგრამ ჩავაბარე! სექტემბერში, როცა სწავლა დაიწყო, მუნისა თვენახევრის იყო.

ძნელი იყო სწავლისა და ბავშვის აღზრდის შეთავსება, მაგრამ ნათესავებმა შეუწყვეს ხელი. სანამ დილნოზა მეცადინეობებზე იყო, მუნისას ბებია და ბაბუა უვლიდნენ. ზოგჯერ მეუღლეც კი ბრუნდებოდა ადრე სამსახურიდან, რომ გოგონასათვის მიეხედა.

- ჩემი ქმარი უმიდი ოჯახში ერთადერთი მარჩენალია. დილიდან საღამომდე მუშაობს. ისიც მეცნიერია. გოგონები კი იზრდებიან, კარგი კვება და მოვლა სჭირდებათ. ქმრის მშობლები როგორც შეუძლიათ, გვეხმარებიან, მათ შორის მატერიალურადაც. მე ხომ ბავშვების დახმარებას არ ვიღებ.. ვის არ მივმართე! ვიყავი მახალინის კომიტეტშიც, რაიონულ საბიორ-რახნიმოვსკის ხოკიმიატშიც, საქალაქოშიც!.. მიზეზი იმისა, რომ არ მაძლევენ, ჩემი სტუდენტობაა. მე ხომ არსად ვმუშაობ. კანონის თანახმად კი ბავშვების დახმარებას ქალი მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, თუ დეკრეტულ შვებულებაში

გასვლამდე სადმე მუშაობდა. ის, რომ მე 7 წელი უმაღლესში ვსწავლობდი, არავის აინტერესებს. არც ქმარი იღებს ბავშვებზე არავითარ დახმარებას. ახლახან

ტელევიზორით უჩვენეს, რომ ერთ ქალს ზვარაზში, რომელსაც სამი ტყუპი შეეძინა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ახალი ბინა აჩუქეს! ჩვენ კი მეუღლის მშობლების ბინაში 8 სული ვცხოვრობთ. როცა სხვადასხვა ინსტანციას მიემართავ, მეუბნებიან: „ო, ის ხომ ზვარაზშია, ჩვენ კი ტაშკენტში ვართ“. მაგრამ სამი ტყუპის შეძენა ტაშკენტში ნუთუ განსხვავდება რაიმეთი სამი ტყუპის შეძენისაგან ზვარაზში? ყველა ბავშვს ხომ ერთნაირად სჭირდება განვითარებისათვის სივრცე, ყველას ესაჭირორება საფენები, კვება, სათამაშოები...ნეტავ იცოდნენ ამ ჩინოვნიკებმა, რამდენი ფული მიდის, როცა ბავშვები ავად ხდებიან!

ასე ამბობდა დილნოზა სულ ცოტა ხნის წინ. 15 აგვისტოს ტაშკენტის გაზეთმა „მირნოვოსტი“ გამოაქვეყნა სტატია მასზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ ახალგაზრდა მრავალშვილიან ოჯახს სახელმწიფოსგან არავითარი მხარდაჭერა არა აქვს. და აი - სასწაული! სახელმწიფო გამოეხმაურა! დილნოზას ოჯახს 4-ოთახიანი ბინა მისცეს. მე, როგორც სტატიის ავტორი, ბედნიერი ვიყავი ჩემი გმირის და ამაყი - ბეჭდვითი სიტყვის გამო.

თუმცა - დახმარება მისთვის ჯერაც არ დაუნიშნავთ. მაგრამ, იქნებ აქაც დაუმან გამონაკლისი? მე და დილნოზა ვიმედოვნებთ.



აბა შენ იცი, მუნისა! შენ ხომ უფროსი ხარ ფოტო ავტორისა

რედაქტორები:

გალინა პეტრიაშვილი (მთავარი რედაქტორი), საქართველო
(+99599 90 11 24, galapet@ip.osgf.ge)
ციცინო ჯულუხიძე (ქართული ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 92 32 67, cicoju@rambler.ru)
დიანა პეტრიაშვილი (ინგლისური ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 76 26 21, dianapetriashvili@yahoo.com)

ნომერზე მუშაობდნენ:

პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო
ალთინ ახმედოვა, თურქმენეთი
რუტა პელსი, ესტონეთი
ნინო სუხიაშვილი, საქართველო
ალმა ბექტურგანოვა-ანდერსენი, დანია
გალია იბრაგიმოვა, უზბეკეთი

ფოტო:

დიანა პეტრიაშვილი, საქართველო
უმიდა ახმედოვა, უზბეკეთი
პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო
ალთინ ახმედოვა, თურქმენეთი
გალია იბრაგიმოვა, უზბეკეთი

დიზაინი და დაკაბადონება:

ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ (საქართველო)
დიზაინ-ჯგუფი

თარგმნა:

ციცინო ჯულუხიძე

ჟურნალ „კ@ვკაზიას“ ქართული ვერსია გამოდის
ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ საკუთარი რესურსებით

**საერთაშორისო კოალიცია
კავკაზია**

რედაქცია არ არის წინააღმდეგი ჟურნალის გავრცელებისა ან ცალკეული ტექსტებისა და ილუსტრაციების გამოყენებისა – მხოლოდ გამოცემისა და ავტორის აუცილებელი მითითების პირობით



ჟურნალისტთა ასოციაცია

გენდერმედიაკავკასია

www.gmc.ge

<http://spaces.msn.com/GMC-Georgia/>

საქართველო, 0103, თბილისი, იორის ქ.№17

ტელ./ფაქსი (995 32) 27 70 33; (995 99) 90 11 24